საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-568

05/08/2022

ქ. თბილისი

შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ 3900 მ³ ტევადობის ნავთობპროდუქტების საცავების ექსპლუატაციაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „გლობალური სავაჭრო ჯგუფზე“ გადაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2022 წლის 17 მარტის საქართველოს კანონის (№1445) მე-2 მუხლის მე-2 ნაწილისა და სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 29 ივლისის N 21/3921 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ 3900 მ³ ტევადობის ნავთობპროდუქტების საცავების ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 25 მაისის №2-760 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცეს შპს „გლობალურ სავაჭრო ჯგუფს“;

2. შპს „გლობალურმა სავაჭრო ჯგუფმა“ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 25 მაისის №2-760 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა;

3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;

4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს: სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს, სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმს“ და შპს „გლობალურ სავაჭრო ჯგუფს“;

5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმისა“ და შპს „გლობალურ სავაჭრო ჯგუფის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

6. ბრძანების გამოცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე;

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე- 12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში

ოთარ შამუგია

მინისტრი